



ევროკავშირი
საქართველოსთვის

Project funded by the European Union



2021 წლის მუნიციპალური არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა

არჩევნების შემდგომი პერიოდის ბეჭდური მედიის მონიტორინგის შედეგები

24 იანვარი - 23 მარტი, 2022



INTERNEWS
GEORGIA

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით. მის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ავტორები. ანგარიშის შინაარსი შეიძლება არ ასახავდეს ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პოზიციას.

სარჩევი

პროექტის შესახებ	3
მონიტორინგის მეთოდოლოგია	3
ძირითადი შედეგები	4
გაზეთი „რეზონანსი“	6
გაზეთი „ახალი თაობა“	9
გაზეთი „ასავალ-დასავალი“	12
გაზეთი „კვირის პალიტრა“	16
გაზეთი „ქრონიკა +“	19
გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“	23
გაზეთი „ალია“	27
გენდერულად სენსიტიური გაშუქება	31

პროექტის შესახებ

„ინტერნუსი - საქართველო“, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის - „2021 წლის მუნიციპალური არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“ - ფარგლებში, ბეჭდურ მედიას აკვირდებოდა.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს არჩევნების შემდგომი პერიოდის გაზეთების მონიტორინგის შედეგებს. მონიტორინგი 2022 წლის 24 იანვარი - 23 თებერვლის პერიოდში მიმდინარეობდა.

დაკვირვება ხორციელდებოდა 7 გამოცემაზე: „რეზონანსი“, „ახალი თაობა“, „კვირის პალიტრა“, „ალია“, „ასავალ-დასავალი“, „საქართველო და მსოფლიო“ და „ქრონიკა+“.

მონიტორინგის მეთოდოლოგია

ბეჭდური მედიის მონიტორინგის მიზანი იმის განსაზღვრა იყო, თუ რა სიხშირით, რამდენად თანაბარ პირობებში და ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით ხდებოდა პოსტსაარჩევნო პერიოდში მონიტორინგის სუბიექტების - პარტიებისა და პოლიტიკოსების, გაშუქება.

მონიტორინგი შედგება რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის კომპონენტებისგან. რაოდენობრივი მონიტორინგი განსაზღვრავს ისეთ ინდიკატორებს, რომლებიც შეიძლება დაითვალოს და გაიზომოს: სუბიექტებისთვის დათმობილი ფართობი, გაშუქების ტონი (დადებითი, ნეიტრალური, უარყოფითი), სუბიექტის სქესი (კაცი თუ ქალი).

თვისებრივი მონიტორინგისას ყურადღება ექცევა ისეთ მაჩვენებლებს, რომელთა რაოდენობრივად გაზომვა რთულია, მაგრამ მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხარისხის წარმოსადგენად: ფაქტების დროული გაშუქება, ინფორმაციის დამახინჯება, დაუბალანსებელი გაშუქება, ტენდენციურობა, ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება, ინფორმაციის წყაროთა მრავალფეროვნება, ფოტოთი მანიპულირება, ეთიკური ან პროფესიული სტანდარტების დაცვა და ა.შ.

მონიტორინგის დროს დაკვირვება ხდებოდა არა მხოლოდ იმ პარტიებსა და პოლიტიკოსებზე, რომლებიც 2021 წლის მუნიციპალურ არჩევნებში მონაწილეობდნენ, არამედ ყველა მოქმედ პოლიტიკურ გაერთიანებაზე. მონიტორინგის სუბიექტები ასევე იყვნენ: მთავრობა (ცენტრალური, ადგილობრივი, აჭარის), პრეზიდენტი, ბიძინა ივანიშვილი და მიხეილ სააკაშვილი.

მონიტორინგი უტარდებოდა არა მხოლოდ პოლიტიკურ თემებზე მომზადებულ სტატიებს, არამედ ყველა მასალას, სადაც მონიტორინგის სუბიექტებზე იყო საუბარი. ვინაიდან, მონიტორინგის დროს ყველაზე აქტუალური თემა 24 თებერვალს დაწყებული რუსეთ-უკრაინის ომი იყო, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა იმას, თუ როგორ აშუქებდა ბეჭდური მედია მონიტორინგის სუბიექტებს ამ ომთან მიმართებაში.

მონიტორინგის პერიოდი კონკრეტული თემების გაშუქების მიხედვით პირობითად ორ ნაწილად შეგვიძლია გავყოთ - 24 იანვრიდან 24 თებერვლამდე და 24 თებერვლის შემდეგ, როდესაც რუსეთი უკრაინაში შეიჭრა და მონიტორინგის ბოლომდე (23 მარტი) ყველა გამოცემის მთავარი თემა რუსეთ-უკრაინის ომი გახდა. შესაბამისად, ჩვენი კვლევის მეორე ეტაპზე მთავარი თემა უკრაინის კრიზისთან/ომთან მიმართებაში ქართული პოლიტიკური სპექტრის გაშუქებაზე დაკვირვება იყო. უკრაინის თემა მოიცავდა ყველა იმ საკითხს, რომელიც მას რამენაირად უკავშირდებოდა. მაგალითად: პარლამენტის მიერ უკრაინის მხარდასაჭერი რეზოლუციის მიღება, უკრაინის მხარდასაჭერი აქციები, ჰუმანიტარული დახმარების გაგზავნა, დევნილები უკრაინიდან, საერთაშორისო პოლიტიკურ სანქციებთან მიერთება, ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანებაზე განაცხადის შეტანის საკითხი, პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლა, პრემიერის განცხადებები რუსეთისთვის დაწესებულ ეკონომიკურ სანქციებთან არმიერთების თაობაზე და ა.შ.

ანგარიში მოიცავს 24 იანვრიდან 23 მარტის ჩათვლით პერიოდის ბეჭდური მედიის მონიტორინგის შედეგებს.

24 იანვარი - 23 მარტის პერიოდის ბეჭდური მედიის მონიტორინგმა შემდეგი ძირითადი შედეგები გამოავლინა:

- ბეჭდურ მედიაში, წინა წლებთან შედარებით, მნიშვნელოვანი ცვლილებები არ გამოვლენილა - ზოგიერთი გაზეთი კვლავაც დაუბალანსებელი და ტენდენციური იყო. ხშირ შემთხვევაში, მათ მიერ გავრცელებულ ინფორმაციებს სანდოობა აკლდა და ერთ წყაროზე დაყრდნობით მომზადებული სტატიები მრავალმხრივი და ამომწურავი ინფორმაციის მისაღებად საკმარისი არ იყო;
- მონიტორინგის დასაწყისში ბეჭდური მედია ისევე აქტიურად აშუქებდა ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს, როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, თუმცა უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ ყველაზე მეტი მასალა რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებულ თემებზე მომზადდა: გაშუქდა როგორც ომის მიმდინარეობა და საერთაშორისო თანადგომა უკრაინის მიმართ, ასევე საქართველოსთან მიმართებაში არსებული ომთან დაკავშირებული საკითხები;
- ზოგიერთი გაზეთის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად და გამოწვევად ისევ რჩება გადაუმოწმებელი და ინფორმაციის საეჭვო წყაროებზე დაყრდნობით მომზადებული მასალების გავრცელება და ხელისუფლებისა თუ ოპოზიციის წარმომადგენლების მიმართ

ბრალდებების წაყენება ისე, რომ მათი მსჯელობა მხოლოდ სუბიექტურ მოსაზრებებს ემყარებოდა და რაიმე სახის ფაქტობრივი მასალით გამყარებული არ იყო. ხშირ შემთხვევაში, გადამოწმების გარეშე შუქდებოდა რესპონდენტთა მძიმე ბრალდების შემცველი განცხადებებიც;

- ზოგიერთ გაზეთში უხეშად ირღვეოდა ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები - კვლავაც პრობლემად რჩება ჟურნალისტების მხრიდან პოლიტიკოსთა მისამართით შეურაცხმყოფელი და ჰომოფობიური ტერმინოლოგიის გამოყენება. მსგავსი ტერმინები ხშირად გვხვდებოდა რესპონდენტთა განცხადებებშიც, თუმცა ჟურნალისტები მათგან გამიჯვნას არ ცდილობდნენ და ზოგჯერ შეურაცხმყოფელი ფრაზები სტატიის სათაურშიც იყო გამოტანილი;
- ზოგიერთ გამოცემაში ისევ გვხვდებოდა შეურაცხმყოფელი და დისკრიმინაციული შინაარსის ფოტოები და კარიკატურები;
- 2022 წელს გენდერული ნიშნით საფრთხის შემცველი გამონათქვამები, რომლებიც წინა წლებში ჟურნალისტთა ტექსტებში ხშირად გვხვდებოდა, არ გამოვლენილა.

გაზეთი „რეზონანსი“

ყოველდღიური გაზეთი „რეზონანსი“ ქვეყანაში განვითარებულ პროცესებს აქტიურად აშუქებდა. მონიტორინგის დასაწყისში გამოცემა გაშუქებული თემების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა - პოლიტიკურთან ერთად ყურადღება ეკონომიკურ და სოციალურ თემებსაც ექცეოდა. თუმცა, რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ უკრაინის თემამ ყველა სხვა საკითხი გადაფარა, შუქდებოდა როგორც ომის მიმდინარეობა და საერთაშორისო თანადგომა უკრაინის მიმართ, ასევე საქართველოსთან მიმართებაში არსებული ომთან დაკავშირებული გამოწვევები: უკრაინის მხარდასაჭერი აქციები, ჰუმანიტარული დახმარების გაგზავნა, უკრაინის მხარდასაჭერი პარლამენტის რეზოლუცია, საერთაშორისო პოლიტიკურ სანქციებთან მიერთება, ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანებაზე განაცხადის შეტანის საკითხი, პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლა, პრემიერის განცხადებები რუსეთისთვის დაწესებულ ეკონომიკურ სანქციებთან არმიერთების თაობაზე და ა.შ.

სტატიებში პოლიტიკოსების განსხვავებულ მოსაზრებებთან ერთად, ექსპერტების შეფასებები და ანალიზიც გვხვდებოდა. მათთან ინტერვიუებში უკრაინის ომთან დაკავშირებული საქართველოსთვის აქტუალური ყველა თემა, მათ შორის ხელისუფლების განცხადებები, სხვადასხვა პოზიციიდან შუქდებოდა. მაგალითად: „დღეს რუსეთისთვის „ქართული ოცნება“ იდეალური ხელისუფალია. ისე მოაგვარებს დასავლეთი რუსეთთან საკითხებს, რომ ვერ შევბედავთ, ვუთხრათ ჩვენც მოგვხედონ, რადგან არაფერი გაგვიკეთებია, სახანძროს სასწრაფო დახმარების მანქანაც კი არ გაგვიგზავნია უკრაინისთვის. იმედი მაქვს რომ დასავლეთს ესმის და „ოცნებას“ საქართველოს მოსახლეობასთან არ აიგივებს“ (ინტერვიუ პოლიტოლოგ პაატა ზაქარეიშვილთან, 21.03, გვ.2); „მეტი რა უნდა გააკეთოს საქართველომ, ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ... ვერაფერი გარდა თანადგომისა და მხარდამჭერი განცხადებებისა... ძალიან კარგი გამოსვლა ჰქონდა პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილს. ეს იყო ზომიერი, დიპლომატი პოლიტიკოსის გამოსვლა“ (ინტერვიუ პოლიტოლოგ იგორ კვესელავასთან, 25.02, გვ.5).

ექსპერტებთან ინტერვიუებში ომი პოლიტიკურთან ერთად ეკონომიკურ ჭრილშიც განიხილებოდა, საუბრობდნენ შესაძლო ეკონომიკურ კრიზისსა და საქართველოსთვის მოსალოდნელ შედეგებზე.

„რეზონანსი“ მოვლენებს კვლავაც დაბალანსებულად და მიუკერძოებლად აშუქებდა. გაზეთში არ გვხვდებოდა გაურკვეველ, საეჭვო წყაროებზე დაყრდნობით მომზადებული მასალები. სტატიებში რომელიმე პოლიტიკური პარტიის ან პოლიტიკოსის მიმართ სუბიექტური დამოკიდებულება, არ შეინიშნებოდა, ქვეყნდებოდა როგორც მმართველი გუნდის, ასევე ოპოზიციის წარმომადგენელთა ინტერვიუები და კომენტარები.

„რეზონანსმა“ მონიტორინგის სუბიექტებიდან ყველაზე მეტად მთავრობა და „ქართული ოცნება“ გააშუქა (ჯამში 56%), ჯამში 22% ერგოთ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა“ და მიხეილ სააკაშვილს.


სუბიექტები, საშუალოდ, 80% ნეიტრალურ ტონში გაშუქდნენ. მათი მისამართით მკვეთრად უარყოფითი განცხადებები იშვიათად, ისიც მხოლოდ ერთმანეთის მიმართ კრტიკულად განწყობილი პოლიტიკოსებისგან ან რესპონდენტებისგან ისმოდა.

მონიტორინგის სუბიექტებიდან ყველაზე მაღალი დადებითი ტონი მთავრობას დაუგროვდა, რაც, დიდწილად, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივების (სათამაშო ბიზნესის რეგულაციები და თურქეთის ბაზრის გახსნა მედიკამენტების გაიაფებისთვის) ვრცლად გაშუქებამ განაპირობა.

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

გაზეთი "რეზონანსი"


24 იანვარი - 24 თებერვალი, 2022



თემების გაშუქება (%)


გაზეთი "რეზონანსი"

24 იანვარი - 24 თებერვალი, 2022




* დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდნენ

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
 გაზეთი "რეზონანსი"
 25 თებერვალი - 23 მარტი, 2022



თემების გაშუქება (%)
 გაზეთი "რეზონანსი"
 25 თებერვალი - 23 მარტი, 2022



* დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდნენ

გაზეთი „ახალი თაობა“

ყოველდღიური გაზეთი „ახალი თაობა“ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს კვლავაც აქტიურად აშუქებდა და გაშუქებული თემების მრავალფეროვნებითაც გამოირჩეოდა. თუმცა, უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ ერთ-ერთი მთავარი თემა რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება გახდა.

„ახალ თაობაში“ ინფორმაციის მიღება, ძირითადად, განსხვავებული მოსაზრების მქონე პოლიტიკოსებისა და ექსპერტების ინტერვიუებიდან იყო შესაძლებელი. გაზეთში ქვეყნდებოდა ინფორმაციები როგორც საომარი მოქმედებების შესახებ, ასევე მასალები უკრაინის საერთაშორისო მხარდაჭერის შესახებ. ინტერვიუებში კი, ძირითადად, შეფასებული იყო საქართველოს, ქართული პოლიტიკური სპექტრის დამოკიდებულება უკრაინაში განვითარებული მოვლენებისადმი, განიხილებოდა საქართველოზე ომის შედეგების შესაძლო გავლენა.

გაზეთმა ყველაზე მეტი ფართობი „ქართულ ოცნებასა“ და მთავრობას (ჯამში 39%) დაუთმო. მონიტორინგის სუბიექტებისთვის დათმობილი მთლიანი ფართობის 17% კი მიხეილ სააკაშვილისა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გაშუქებაზე მოდის. მონიტორინგის სუბიექტები, საშუალოდ, 75% ნეიტრალურად გაშუქდნენ.

გამოცემა მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია. რესპონდენტების უმრავლესობა კვლავაც ოპოზიციის წარმომადგენლები ან ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილი ექსპერტები იყვნენ, რამაც მმართველი გუნდის უარყოფით ტონში გაშუქების მაღალი (ჯამში 77%) მაჩვენებელი განაპირობა. გაზეთში „ქართული ოცნებისა“ და მთავრობის წარმომადგენელთა განცხადებებს, ძირითადად, ახალი ამბების სახით ციტირებდნენ ან სოციალური ქსელის სტატუსების გამოქვეყნებით აცნობდნენ მკითხველს.


მთავრობას, სხვა სუბიექტებთან შედარებით, მაღალი დადებითი ტონი, ძირითადად, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებების და ინიციატივების (მედიკამენტების გაიაფება, სათამაშო ბიზნესის რეგულაციები) გაშუქების შედეგად დაუგროვდა. ექსპერტების მიერ ასევე დადებითად შეფასდა ღარიბაშვილის პრემიერობის ერთი წელი: „ირაკლი ღარიბაშვილის ერთწლიანი პერიოდი საკმაოდ ნაყოფიერი და ეფექტიანი აღმოჩნდა. იმის მიუხედავად, რომ მან რთული პოლიტიკური კრიზისის ფონზე აიღო მთავრობის მეთაურის სადავები, მან მალევე მოახერხა მრავალი პრობლემის მოგვარება“ (ინტერვიუ პოლიტოლოგ გია აბაშიძესთან, 23.02, გვ.3); „ღარიბაშვილი პირველი პრემიერია, რომელიც არ ერიდება დასავლელი პარტნიორების წინაშე საქართველოს პოზიციის დაფიქსირებას და წითელ ხაზს ავლებს იქ, სადაც იწყება ქვეყნის სუვერენიტეტი“ (ინტერვიუ ექსპერტ ზაალ ანჯაფარიძესთან, 22.02, გვ.3).

ჟურნალისტების მხრიდან არც ერთი სუბიექტის მიმართ მკვეთრად მიკერძოების შემთხვევები არ გამოვლენილა, თუმცა, ზოგ შემთხვევაში, კითხვებში მათი პოზიცია შეინიშნებოდა. მაგალითად: „კობახიძე რომ განსაკუთრებული „გამოყვანილი ჯიშის“ პოლიტიკოსია, ამაზე არაერთხელ გისაუბრიათ...“, „ქვეყნის საგარეო კურსზე რას იტყვიან? ყველამ ერთხმად შეაფასა, რომ ხელისუფლების პოზიცია უკრაინასთან მიმართებით იყო უღირსი საქციელი, რას

იტყვიტ თქვენ?“ (ნონა ცაბაძე, 18.02, გვ.2); „პრემიერისგან მოვისმინეთ, რომ რუსეთის მიმართ დაკისრებულ სანქციებს არ აქვს არანაირი შედეგი და ისევ ნაციონალურ მოძრაობაზე აქვს სწორება. სად მიგვაქანებს „ქართული ოცნება“ თავისი პოლიტიკით?“ (იაგო ნაცვლიშვილი, 1.03, გვ.3); „არა აქვს დიპლომატიური ენაო ღარიბაშვილსო. ეს უვიცობით მოსდის თუ მიზანმიმართულად?“ (ნონა ცაბაძე, 2.03, გვ.2); „რას ნიშნავს ქართული ოცნების პოლიტიკა? საით მიაქანებს ქვეყანას?... რაღაცა იმედის ნაპერწკალი მაინც უნდა გვქონდეს, ოცნების უმოქმედობის მიუხედავად?“ (იაგო ნაცვლიშვილი, 3.03, გვ.2); „რით ხსნით ხელისუფლების ასეთ დამოკიდებულებებს? რაც უკრაინას ეხება, ყველაფერში უკან იხევენ და არასწორი მიდგომები აქვთ. ეს არის შიშის ფაქტორიდან გამომდინარე?“ (ნონა ცაბაძე, 15.03, გვ.3).


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

გაზეთი "ახალი თაობა"
24 იანვარი - 24 თებერვალი, 2022



თემების გაშუქება (%)


გაზეთი "ახალი თაობა"
24 იანვარი - 24 თებერვალი, 2022



* დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდნენ


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

გაზეთი "ახალი თაობა"
25 თებერვალი - 23 მარტი, 2022



თემების გაშუქება (%)

გაზეთი "ახალი თაობა"
25 თებერვალი - 23 მარტი, 2022



* დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდნენ

გაზეთი „ასავალ-დასავალი“

ყოველკვირეულ გაზეთ „ასავალ-დასავალი“, წინა წლების მსგავსად, კვლავაც მრავლად გვხვდებოდა ჟურნალისტური სტანდარტების და ეთიკის ნორმების დარღვევის, შურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევები. მოიმატა შეურაცხმყოფელი შინაარსის ფოტოებმაც. გამოცემა დაუბალანსებელია - მოვლენები ცალმხრივად შუქდებოდა და ჟურნალისტები არც დაუსაბუთებელ მსჯელობას ერიდებოდნენ.

გაზეთი გაშუქებული თემების მრავალფეროვნებით არ გამოირჩეოდა, ხოლო უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებულმა თემებმა ყველა სხვა გადაფარა - სტატიებში განიხილავდნენ ომის შესაძლო გავლენებს საქართველოზე, ჟურნალისტები რესპონდენტებთან ინტერვიუებში აფასებდნენ მმართველი გუნდისა და ოპოზიციის წარმომადგენელთა განცხადებებს.

„ასავალ-დასავალი“ თითქმის ყველა პოლიტიკური სუბიექტის, განსაკუთრებით კი ოპოზიციური პარტიების მიმართ, კვლავაც უარყოფითი განწყობით გამოირჩეოდა. სუბიექტების გაშუქების ტონი, საშუალოდ, 60% უარყოფითი იყო. დადებით კონტექსტში მხოლოდ „ქართული ოცნება“ და მთავრობა გაშუქდნენ. თუმცა, გამონაკლისს წარმოადგენდა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, რომელსაც კულტურის სფეროში რეპრესიების დაწყებაში ადანაშაულებდნენ - „საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი, ნაჯახს არ უნდა იქნევდეს! წულუკიანი, სდექ!“ (ჯაბა ხუბუა, 24-30.01, გვ.4-5), რის გამოც მთავრობას 46% უარყოფით ტონში გაშუქება დაუგროვდა.

მთავრობას გაშუქების მაღალი დადებითი ტონი, კი დიდწილად, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის გამო ჰქონდა. გაზეთს ხელისუფლების პოზიცია უკრაინისადმი პოლიტიკური და ჰუმანიტარული მხარდაჭერით შემოფარგლულიყო ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებად მიაჩნდა. პრემიერის მიმართ დადებით განწყობას რესპონდენტებთან ერთად ჟურნალისტებიც გამოხატავდნენ. ჟურნალისტები იწონებდნენ პრემიერის მშვიდობიან საგარეო პოლიტიკას, რომელიც საქართველოს საომარ ვითარებაში არჩართვაზე და ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე იყო გათვლილი: „პრემიერ ღარიბაშვილის მთავრობამ მიიღო ერთადერთი სწორი და ქართული სახელმწიფოს უსაფრთხოებისთვის აუცილებელი გადაწყვეტილება... საქართველოს მთავრობის მეთაური მოიქცა ისე, როგორც უნდა იქცეოდეს სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პასუხისმგებელიანი ხელისუფალი, რომლის გადაწყვეტილებაზეც ქვეყნისა და ერის ბედია დამოკიდებული“ („ასე გააგრძელე, პრემიერო!“; ჯაბა ხუბუა, 28.02 – 6.03, გვ.2).

უკრაინის ომის თემაზე მომზადებულ სტატიებსა და ინტერვიუებში ჟურნალისტები და მათი რესპონდენტები უკრაინელი ხალხის მიმართ თანაგრძნობას გამოხატავდნენ და მკაცრად აკრიტიკებდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და სხვა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელთა განცხადებებსა და აქტივობებს, რომლებიც მათი თქმით საქართველოს ინტერესების საზიანოდ იყო მიმართული: „ნაცმეცოცხეები და ხანდაზმული თაღლითები უკრაინის გადასარჩენად გაეშურნენ“ („სად უკრანალში მიძვრებიან“, ჯაბა ხუბუა, 7-14.02, გვ.2); „თუ ხელისუფლებამ ასი ყური და ასი თვალი არ გამოისხა და თბილისსა

და დანარჩენ საქართველოში მოკალათებულ ამ მავნებლებს საკადრისი პასუხი არ გასცა, გამორიცხული არ არის, უკრაინელების მსგავსად, რომლებიც მარტოდმარტო ებრძვიან რუსეთის გამძვინვარებულ იმპერიას, ჩვენც მეტროში მოგვიწიოს ცხოვრება, რომელიც საჰაერო თავდასხმის დროს თავდაცვის საუკეთესო საშუალებაა („დღეს რომ სააკაშვილი ხელისუფლებაში იყოს, ყველანი მეტროში ვიქნებოდით!“, დიტო ჩუბინიძე, 28.02-6.03, გვ.4); „მაშინ, როდესაც რუსულ აგრესიას უკრაინის მშვიდობიანი მოქალაქეების, მათ შორის, ბავშვების სიცოცხლე ეწირება, საქართველოში ნაციონალები და ფსევდოლიბერალები კონცერტებს მართავენ, ღია ცის ქვეშ როკავენ და ამას „უკრაინისადმი სოლიდარობად“ ასაღებენ... საერთოდ ნაციონალურ მოძრაობას ახასიათებს, რომ თვით ყველაზე ტრაგიკული მოვლენებიც კი საკუთარი პოლიტიკური ინტერესებისთვის გამოიყენოს. სააკაშვილის უზნეო სექტას ეს ბევრჯერ გაუკეთებია და ახლა კიდევ ერთხელ გააკეთა“ („ლხინი ჟამიანობის დროს“, ჯაბა ხუბუა, 28.02-6.03, გვ.5).


უკრაინის ომზე საუბრისას, ზოგ შემთხვევაში, რესპონდენტები და ჟურნალისტები უარყოფითი შინაარსის პარალელებს ავლებდნენ უკრაინის პრეზიდენტსა და საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს შორის: „ზელენსკი და სააკაშვილი ერთი ძალაა - ერთი ბოროტების ორი განშტოება“ (ინტერვიუ უფლებადამცველ ნანა კაკაბაძესთან, 21-27.03, გვ.6); „ზელენსკი სააკაშვილზე უარესია!“ (ინტერვიუ დამოუკიდებელ ექსპერტ მაია ნიკოლეიშვილთან, 21-27.03, გვ.7).

მონიტორინგის პერიოდში ყველაზე მეტად და ყველაზე უარყოფითად ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გაშუქდნენ, რომელთა მისამართით კვლავაც კრიტიკული, მწვავე და, ხშირ შემთხვევაში, შეურაცხმყოფელი განცხადებები კეთდებოდა. გაზეთი უყურადღებოდ არ ტოვებდა ყოფილ პრეზიდენტს და მისი მმართველობის პერიოდს. გიორგი გიგაურის სტატიების ციკლში „პატიმარ სააკაშვილის ციხეში საკითხავი. სააკაშვილის „ძალის გამოღვიძება“ და რუსთავის საპრობილეში მიძინება!“ - მკითხველს სთავაზობდნენ მიხეილ სააკაშვილის წიგნის, „ძალის გამოღვიძება“ მიმოხილვას: „როგორ ჩაიგდო ხელში ძალაუფლება, როგორ გახვია საქართველო რუსეთთან ომის ქარცეცხლში და როგორ მართავდა იმ ქვეყანასა და ხალხს, რომელმაც ეს რეფორმატორ-დეფორმატორი 2012 წელს გააპანდურა ხელისუფლებიდან, ხოლო საქართველოში არაქნის ტრაილერით შემოპარულს სათანადო ადგილი მიუჩინა რუსთავის მე-12 საპრობილეში!“.

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

გაზეთი "ასავალ-დასავალი"


24 იანვარი - 24 თებერვალი, 2022



თემების გაშუქება (%)

გაზეთი "ასავალ-დასავალი"


24 იანვარი - 24 თებერვალი, 2022



* დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდნენ


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

გაზეთი "ასავალ-დასავალი"
25 თებერვალი - 23 მარტი, 2022



თემების გაშუქება (%)

გაზეთი "ასავალ-დასავალი"
25 თებერვალი - 23 მარტი, 2022



* დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდნენ

გაზეთი „კვირის პალიტრა“

ყოველკვირეული გაზეთი „კვირის პალიტრა“ კვლავაც დიდი ადგილს უთმობდა პოლიტიკურ თემებზე მომზადებულ სტატიებსა და ინტერვიუებს, როგორც მმართველი პარტიის, ასევე ოპოზიციის წარმომადგენლებთან. მონიტორინგის პერიოდში „კვირის პალიტრაში“ ყველაზე მეტად გაშუქებული თემა უკრაინის კრიზისი, ხოლო 24 თებერვალს ომის დაწყების შემდეგ რუსეთ-უკრაინის ომი იყო, რომელსაც გაზეთი ვრცლად და მიუკერძოებლად აშუქებდა. გაზეთი კვლავაც ინფორმაციის წყაროთა და რესპონდენტთა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. მკითხველს შესაძლებლობა ჰქონდა პოლიტიკისა და სამხედრო ექსპერტებთან ინტერვიუებსა და სტატიებში მოვლენების მიმოხილვას და ანალიზს გაცნობოდა, ასევე - მოსაზრებებს უკრაინაში პროცესების სავარაუდო განვითარებისა და ომის მოსალოდნელ შედეგებზე: როგორ აისახება ის საქართველოზე და რამდენად არის მზად ჩვენი ქვეყანა ამ ომის შედეგებისთვის.


მონიტორინგის სუბიექტებიდან ყველაზე მეტად „ქართული ოცნება“(27), მთავრობა (11%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (14%) გაშუქდნენ. სუბიექტების გაშუქების, საშუალოდ, 70% ნეიტრალურ ტონზე მოდიოდა. თუმცა, წინა პერიოდთან შედარებით, მოიმატა უარყოფითმა ტონმა, რაც უმეტესად, პოლიტიკოსთა ერთმანეთის მიმართ გამოთქმული კრიტიკული განცხადებებითა და რესპონდენტთა მოსაზრებების გაშუქებით იყო გამოწვეული.

გამოცემა დაბალანსებული და მიუკერძოებელია. ჟურნალისტები სუბიექტურ შეფასებებს არ აკეთებდნენ და ცდილობდნენ როგორც ქვეყანაში მიმდინარე პროცესები, ასევე უკრაინის მოვლენები ფაქტებზე დაყრდნობით და სხვადასხვა პოზიციიდან გაეშუქებინათ.

პოლიტიკოსთა ურთიერთსაპირისპირო განცხადებები, შიდა პოლიტიკური საკითხების გარდა, უკრაინის თემის (პარლამენტის მიერ უკრაინის მხარდამჭერი რეზოლუციის მიღება, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებები რუსეთისთვის სანქციების არდაწესების შესახებ, ომთან დაკავშირებით ხელისუფლების ფრთხილი განცხადებები და ა.შ) გამოცემა ფიქსირდებოდა. მაგალითად: „ხელისუფლებას რუსეთთან სირაქლემის პოზიცია აქვს არჩეული“ (ინტერვიუ „ლელო საქართველოსთვის“ ლიდერ ბადრი ჯაფარიძესთან, 31.01-6.02, გვ.7); „ოპოზიციამ კარგად წაიკითხოს ტექსტი, სადაც მკაფიოდ არის გაცხადებული უკრაინის ურყევი მხარდაჭერა“ (ინტერვიუ „ქართული ოცნების“ წევრ გივი მიქანაძესთან, 31.01-6.02, გვ.6); „მთავრობამ უნდა შეარჩიოს ისეთი ფრაზეოლოგია, რომელიც ერთი მხრივ ხელს არ შეუწყობს აგრესიას, მაგრამ მეორე მხრივ, ღირსებას არ შეულახავს ამ ქვეყნის მოქალაქეებს... არ დატოვოს პრეზიდენტ ზელენსკის გუნდი მხოლოდ ნაცების მიწოდებული ინფორმაციისა და ჭორ-მართალის ანაბარა“ (ინტერვიუ მწერალ კოტე ჯანდიერთან, 21-27.03, გვ. 4); „როცა ხელისუფლება იქცევა როგორც დასავლეთი, მაგრამ ლაპარაკობს როგორც ლუკაშენკო, ეს არაკვალიფიციურობაზე მიუთითებს“ (ინტერვიუ „რესპუბლიკური პარტიის“ ლიდერ დავით ბერძენიშვილთან, 21-27.03, გვ.6);


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

გაზეთი "კვირის პალიტრა"
24 იანვარი - 24 თებერვალი, 2022



თემების გაშუქება (%)

გაზეთი "კვირის პალიტრა"
24 იანვარი - 24 თებერვალი, 2022




* დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდნენ

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

გაზეთი "კვირის პალიტრა"


25 თებერვალი - 23 მარტი, 2022



თემების გაშუქება (%)

გაზეთი "კვირის პალიტრა"

25 თებერვალი - 23 მარტი, 2022



* დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდნენ

გაზეთი „ქრონიკა +“

ყოველკვირეული გაზეთი „ქრონიკა+“ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს აქტიურად აშუქებდა, თუმცა, უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ ყველა თემა რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის გაშუქებამ გადაფარა. პოლიტიკოსებთან და ექსპერტებთან ვრცელ ინტერვიუებსა და სტატიებში ჟურნალისტები განიხილავდნენ ომთან დაკავშირებულ საკითხებს და მის გავლენას საქართველოს ეკონომიკასა და საგარეო პოლიტიკაზე.

მონიტორინგის პერიოდში „ქრონიკა+“-მა ყველაზე მეტად მმართველი გუნდი (ჯამში 31%), ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (ჯამში 29%) გააშუქა.

მონიტორინგის დასაწყისში ყველაზე ხშირად ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პატიმრობასა და კულტურის მინისტრ თეა წულუკიანის მიერ კულტურის სხვადასხვა სფეროში განხორციელებულ ცვლილებებზე წერდნენ. გაზეთი მინისტრს მწვავედ აკრიტიკებდა: „კულტურის მინისტრმა თეა წულუკიანმა თავისი ნამდვილი სახე კიდევ ერთხელ გამოაჩინა. ის ბოლშევიკური და ფაშისტური შემართებით შეუდგა კულტურისა და ხელოვნების მუშაკების აწიოკებას“ („შურისძიება ხელოვნების მიმართ - ვის არ სწყალობს თეა წულუკიანი. კაბიანი ნიკოლაი ეჟოვი - ანუ თეა წულუკიანის კულტურული რეპრესიები“, გიორგი საკარული 24.01, გვ.14).

„ქრონიკა+“ მმართველი გუნდისა და პრეზიდენტის მიმართ კვლავაც უარყოფითი დამოკიდებულებით გამოირჩეოდა. მათი მისამართით კრიტიკა განსაკუთრებით უკრაინის თემასთან მიმართებაში ისმოდა. უარყოფით ტონი იყო არა მხოლოდ რესპონდენტების მწვავე შეფასებებში, არამედ ჟურნალისტების ტექსტებშიც. მაგალითად: „სალომე ზურაბიშვილი უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებებით შეშფოთებულია. ის სალომე ზურაბიშვილია შეშფოთებული რუსული აგრესიით, რომელიც წლების მანძილზე ანამუსებდა საქართველოს, მძინარე ცხინვალის გაღვიძება როგორ გაბედო... „ქრონიკა+“-ის ინფორმაციით, მმართველ პარტიას შეეშინდა, რომ ზურაბიშვილი პარლამენტში გამოსვლისას რუსეთს დაგმობდა. რუსეთის დაგმობა „ქართულ ოცნებას“ კატეგორიულად აქვს აკრძალული. რუსეთის ისევე შინაით, რომ უკრაინის მხარდამჭერ რეზოლუციაში რუსეთი არც კი ახსენეს“ („მძინარე ცხინვალის გაღვიძებით შეძრული ზურაბიშვილი უკრაინასთან მიმართებით უფრო სოლიდარული აღმოჩნდა“, შორენა მარსაგიშვილი, 7.03, გვ.2).

უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ გამოსული გაზეთის ნომერი მთლიანად რუსეთ-უკრაინის დაპირისპირებას და ამ ომთან მიმართებაში საქართველოს მთავრობის პოზიციის შეფასებას დაეთმო. „საქართველო ასეთ ხელისუფლებას არ იმსახურებს“ (ინტერვიუ მსახიობ ნანა ბუთხუშთან, 28.02, გვ.21) სწორედ ეს სიტყვები გამოხატავს გაზეთის დამოკიდებულებას მმართველი გუნდის მიმართ, ზოგადად და განსაკუთრებით უკრაინის თემასთან დაკავშირებით. სტატიებსა და ინტერვიუებში გაკრიტიკებული იყო საქართველოს ხელისუფლებისა და პრემიერის პოლიტიკა რუსეთისთვის დაწესებული სანქციებისადმი არმიერთების შესახებ:

„ზელენსკი არის მსოფლიო მასშტაბის გმირი... მომავალმა თაობამ უკვე გააკრა ღარიბაშვილი ისტორიის სამარცხვინო ბოძზე“ (ინტერვიუ ექსპერტ გია ხუხაშვილთან, 28.02, გვ. 5); „პრემიერი კი ჰქვია, მაგრამ არის პრემიერი? რასაც ივანიშვილი ჩასძახებს, ცარიელი ქვევრივით იმას ამოსძახებს“ (ინტერვიუ ლეიბორისტული პარტიის“ წევრ ნიკა ვარდოშვილთან, 28.02, გვ.12); „მებრალეა საქართველო ამ პრემიერისა და მთავრობის ხელში“ (ინტერვიუ „ევროპელი დემოკრატების“ ლიდერ მამუკა გამყრელიძესთან, 21.02, გვ.16); „არგალიზიანების პოლიტიკაზე დგომა სრული სიშლეგა“ (ინტერვიუ „ტრიბუნას“ წევრ ლია მუხაშავერიასთან, 21.02, გვ.19)


სუბიექტური მოსაზრებების დაფიქსირებას არც ჟურნალისტები ერიდებოდნენ. მათი პოზიცია სტატიების გარდა რესპონდენტებისთვის დასმულ შეკითხვებშიც ჩანდა. მაგალითად: „თქვენი შეფასებით „ქართული ოცნების“ კაპიტულანტური პოლიტიკა მიზანმიმართულია?“ (ნენე ინჯგია 31.01, გვ.9); „ღარიბაშვილი ახსენეთ და მან ერთმანეთზე უფრო სამარცხვინო განცხადებები გააკეთა, მათ შორის თქვა, რომ მას და პარლამენტს თავისი საქმეები აქვთ და ომი უკრაინაშია ... რით შეიძლება ამის ახსნა?“ (ნენე ინჯგია, 28.02, გვ.5); „ღარიბაშვილის სამარცხვინო განცხადებები რით აიხსნება: იგი პირდაპირ ასრულებს რუსეთის დაკვეთას თუ მფრთხალი ხელისუფლება გვყავს, რომელსაც ეშინია ღიად უკრაინის მხარდაჭერის გამოხატვა რუსეთის ფაქტორის გამო?“ (ნენე ინჯგია, 28.02, გვ.7).

გამოცემა დაუბალანსებელია, თითქმის არ ვხვდებით განსხვავებულ მოსაზრებებსა და სხვადასხვა კუთხით გაშუქებულ საკითხებს. გაზეთში, ძირითადად, სახელისუფლებო გუნდის მიმართ კრიტიკულად განწყობილი ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების, ექსპერტებისა თუ სამოქალაქო აქტივისტების ინტერვიუები ქვეყნდებოდა, რის გამოც მმართველ პარტიასა და მის ყოფილ ლიდერს, ბიძინა ივანიშვილს უარყოფითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაუგროვდათ. გამოცემამ დადებითად მხოლოდ ექსპრეზიდენტი მიხილ სააკაშვილი გააშუქა.

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

გაზეთი "ქრონიკა+"


24 იანვარი - 24 თებერვალი, 2022



თემების გაშუქება (%)

გაზეთი "ქრონიკა+"


24 იანვარი - 24 თებერვალი, 2022



* დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდნენ


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

გაზეთი "ქრონიკა+"
25 თებერვალი - 23 მარტი, 2022



თემების გაშუქება (%)

გაზეთი "ქრონიკა+"
25 თებერვალი - 23 მარტი, 2022



* დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდნენ

გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“

ყოველკვირეული გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ ინარჩუნებს მკაფიოდ გამოხატულ პრორუსულ და ანტიდასავლურ განწყობას. გაზეთი აქტიურად აშუქებდა უკრაინის კრიზისს და შემდეგ უკვე რუსეთ-უკრაინის ომს. მოვლენები ცალმხრივად და მიკერძოებულად შუქდებოდა.

ჟურნალისტები და სტატიის ავტორი ექსპერტები ღიად აფიქსირებდნენ ანტიდასავლურ შეხედულებებს და რუსეთის მიმართ დადებით დამოკიდებულებას. გამოცემაში რუსეთის პოლიტიკა და ქმედებები ყოველთვის დადებითი კუთხით იყო წარმოჩენილი, ხშირად შუქდებოდა რუსეთის პრეზიდენტის მიმართვები. მაგალითად, 2 მარტის ნომერში გამოქვეყნდა რუსეთის მოსახლეობისადმი ვლადიმერ პუტინის 24 თებერვლის მიმართვის სრული (დაეთმო 4 გვერდი) ტექსტი, რომელსაც ჟურნალისტის შესავალიც ახლდა: „საქართველოში სრული ინფორმაციული ქაოსია. იმ გარემოებებს, რომლებსაც ქართული მედია გადმოსცემს უკრაინის მოვლენების ირგვლივ, სინამდვილესთან საერთო არაფერი აქვს, დღეს როგორც მოდამია თქმა, ერთი დიდი ფეიკია თავიდან ბოლომდე. ხოლო რუსეთის სპეცოპერაციის გამომწვევ მიზეზებზე საერთოდ არაფერს ლაპარაკობენ“.

ჯერ კიდევ უკრაინაში ომის დაწყებამდე, გაზეთი ღიად ადანაშაულებდა დასავლეთს საკუთარი ინტერესების გატარებასა და ვითარების ესკალაციაში: „ამერიკელები უკრაინაზე, შავი ზღვის რეგიონზე და, საერთოდ მსოფლიო უსაფრთხოებაზე თუ ზრუნავენ, მოაწერონ რუსეთის მიერ შემოთავაზებულ ხელშეკრულებას ხელი; მისცენ რუსეთს წერილობითი გარანტია, რომ მათი სარაკეტო დანადგარებითა და ბირთვული შეიარაღებით ყველა მხრიდან რუსეთის საზღვრებთან არ მიჩოჩდებიან; დადონ პირობა, რომ უკრაინასა და საქართველოს არ შეათრევენ ნატოში და მორჩა, განიმუხტება ვითარება, მაგრამ არა, ისინი საკითხის ამგვარ გადაწყვეტას არ განიხილავენ“ (ვალერი კვარაცხელია, 2-8.02, გვ.6); „როგორია, ა? ევროპა და ამერიკა არა მხოლოდ ომისთვის არიან მზად, არამედ სტატიებიც გამზადებული აქვთ, რის შემდეგ რა უნდა დაიბეჭდოს და რა უნდა გამოქვეყნდეს“ („ომი არ დაწყებულა და დასავლეთში უკვე გვამებს ითვლიან“, ბესო ბარბაქაძე, 9-15.02, გვ.9); „...კლოუნი ვლადიმერ ზელენსკიც კი მიხვდა, რომ ომი, უწინარესად, ამერიკას სჭირდება, რათა ჩამოწეროს მილიარდობით დოლარის ყავლგასული იარაღი...“ („ვლადიმერ პუტინს პლუს სი ძინპინი უდრის აშშ-ის 30 -წლიანი ჰეგემონიის დასასრულს“, დავით მხეიძე, 9-15.02, გვ.8); მათ, /დასავლეთმა/ ფაქტობრივად, ჯერ წააქეზეს უკრაინა სახელმწიფოებრივ თვითმკვლელობაზე, შემდეგ კი მიატოვეს, გაბრაზებულ რუსეთს შეატოვეს“ („დასავლეთის პროვოკაციულ-წამქეზებლური პოლიტიკის მიმდევრობის ლოგიკური შედეგი - უკრაინის სახელმწიფოებრიობის კრახი“, სარედაქციო კოლეგია, 23-29.02, გვ.3).

„საქართველო და მსოფლიოს“ ჟურნალისტები და რესპონდენტები, რუსეთ-უკრაინის ომს რუსული მხარის მსგავსად „სპეცოპერაციად“ მოიხსენიებდნენ. გაზეთი სრულად იზიარებდა რუსეთის ფედერაციის ოფიციალურ პოზიციას, რომ ომის დაწყება უკრაინის ქმედებებისა და პოლიტიკის შედეგი იყო: „უკრაინამ მინსკის შეთანხმების შესრულებაზე უარი თქვა, თანაც 17 თებერვლიდან განაახლა დონეცკისა და ლუგანსკის დაბომბვები, რამაც ინტენსიური ხასიათი მიიღო 20-21 თებერვალს, ხოლო 21-ში რამდენიმეკაციანმა უკრაინულმა დივერსიულმა ჯგუფმა რუსეთის სასაზღვრო მონაკვეთზე მიიტანა იერიში,

მაგრამ დივერსანტები რუსმა სამხედროებმა საპასუხო ცეცხლით გაანადგურეს“ („დასავლეთის პროვოკაციულ-წამქეზებლური პოლიტიკის მიმდევრობის ლოგიკური შედეგი - უკრაინის სახელმწიფოებრიობის კრახი“, სარედაქციო კოლეგია, 23.02, გვ.3.); „თუკი ვინმეს შეუძლია, კაცობრიობას მესამე მსოფლიო ომი ააცილოს, ეს არის რუსეთი და მისი პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი, ვინაიდან რუსეთი ომს არ იწყებს, რუსეთი, როგორც წესი, ომს ამთავრებს“ (ვალერი კვარაცხელია, 16-22.02, გვ.6).

გაზეთი მონიტორინგის თითქმის ყველა სუბიექტის მიმართ კრიტიკულად იყო განწყობილი, მათი გაშუქება, საშუალოდ, 57% ნეგატიური კუთხით ხდებოდა. გამოცემა განსაკუთრებით კრიტიკული მიხეილ სააკაშვილისა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ იყო: „ოპოზიციას სურს, ქართველთა გვამებზე გადავლით დაიბრუნოს ის, რაც ასე აკლია - ძალაუფლება“ (ბესო ბარბაქაძე, 16-22.02, გვ.10); „ამ ხალხს, პირველ რიგში ნაციონალურ მოძრაობას ვგულისხმობ, უნდა, რომ საქართველო პირდაპირ ჩაითრიოს რუსეთისა და უკრაინის დაპირისპირებაში. იმიტომ, რომ ამაში ხედავენ შესაძლებლობას, რაც ამდენი ხნის განმავლობაში ვერ განახორციელეს ვერც ე.წ გავრილოვის დამის პროვოკაციით, ვერც ნიკა მელიას დაპატიმრების გარშემო ატეხილი ამბით და ბოლოს უკვე სააკაშვილის ჩამოყვანით“ (ინტერვიუ უფლებადამცველ დიმიტრი ლორთქიფანიძესთან, 16-22.03, გვ.3).

გამოცემა იწონებდა საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკას უკრაინასთან მიმართებაში და დადებითად აფასებდა იმას, რომ საქართველო არ შეუერთდა რუსეთის წინააღმდეგ დაწყებულ ეკონომიკურ სანქციებს: „ვისურვებ, რომ ბატონმა ირაკლი ღარიბაშვილმა მომავალშიც ასეთივე პრინციპულობით განაგრძოს ქვეყნის მართვა“ (ინტერვიუ უფლებადამცველ დიმიტრი ლორთქიფანიძესთან, 16-22.03, გვ.3).

სტატიებში საუბარი იყო იმაზე, რომ მთავრობა, მმართველი პარტია და მთლიანად საზოგადოება რუსეთის მიმართ უფრო ლოიალური უნდა იყოს, რადგან ის საქართველოს ერთადერთი მოკავშირეა.

23-29 მარტის ნომერში (გვ.4-6) დაიბეჭდა 22 მარტს გაზეთის რედაქციაში გამართული მრგვალი მაგიდის, „მზად არის თუ არა საქართველო ახალი გამოწვევებისთვის“ - დროს განხილული საკითხები: რუსეთ-უკრაინას შორის მიმდინარე დაპირისპირების გამომწვევი მიზეზები და შედეგები, საქართველოს როლი და გამოწვევები აღნიშნულ კონფლიქტში. დისკუსიის მონაწილეები ამართლებდნენ უკრაინაში რუსეთის შეჭრას, მწვავედ აკრიტიკებდნენ უკრაინის პრეზიდენტსა და დასავლეთს კრიზისული ვითარების ომამდე მიყვანის გამო. მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა მიიღეს ერთობლივი განცხადება, სადაც საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებენ, აღკვეთოს ქვეყანაში გაჩაღებული ანტირუსული კამპანია და დაიწყოს „სამართლებლივი პროცედურები ქვეყნის კონსტიტუციის გადასახედად, იქიდან ნატო-ში სწრაფვის შესახებ ყოვლად მავნებლური ჩანაწერის ამოსაღებად, გადავხედოთ ევროკავშირში გაწევრიანების, ასევე მავნებლურ და უტოპიურ მისწრაფებას“.


გაზეთში გამოქვეყნებული მასალის ნაწილი რუსული სააგენტოების (ria.ru, tass.ru, vz.ru, iarex.ru) ინფორმაციებზე დაყრდნობით იყო მომზადებული, რაც ყველა სტატიის ბოლოს იყო მითითებული.

„საქართველო და მსოფლიოში“ მრავლად გვხვდებოდა ანტიევროპული და ანტიამერიკული განწყობის გამომხატველი კარიკატურები, სადაც საქართველოს და უკრაინის მიმართ დასავლეთის დამოკიდებულება და დასავლური ღირებულებები იყო გამარჯებული.

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

გაზეთი "საქართველო და მსოფლიო"


24 იანვარი - 24 თებერვალი, 2022



თემების გაშუქება (%)


გაზეთი "საქართველო და მსოფლიო"

24 იანვარი - 24 თებერვალი, 2022




* დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდნენ

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
 გაზეთი "საქართველო და მსოფლიო"
 25 თებერვალი - 23 მარტი, 2022



თემების გაშუქება (%)
 გაზეთი "საქართველო და მსოფლიო"
 25 თებერვალი - 23 მარტი, 2022



* დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდნენ

გაზეთი „ალია“

ყოველკვირეული გაზეთი „ალია“ გაშუქებული თემების მრავალფეროვნებით არ გამოირჩეოდა, თუმცა ქვეყანაში განვითარებულ მთავარ პოლიტიკურ პროცესებს უყურადღებოდ არ ტოვებდა. 24 თებერვალს უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ, ისევე როგორც სხვა გაზეთებში, „ალიაშიც“ მთავარი თემა უკრაინის ომი და მასთან დაკავშირებული საკითხები (საქართველოს მთავრობის პოზიცია მიმდინარე პროცესებისადმი, პოლიტიკური გადაწყვეტილებები, პრეზიდენტის განცხადებები და აქტივობები და ა.შ) იყო.

უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე, პოლიტიკურ კრიზისზე, რომელიც იქ იყო შექმნილი გაზეთი ომის დაწყებამდეც წერდა: „ნურც ის დაგავიწყდებათ, რომ ზელენსკი ისეთივე რუსული ხისგან გამოთლილი მარიონეტია, როგორც მიხეილ სააკაშვილი და ამ ორ ე.წ. პოლიტიკოსს ერთი კარაბას ბარაბასი ათამაშებს, რომელსაც სახელად ვლადიმერ პუტინი ჰქვია!“ („ომის დაწყების თარიღად 15-17 თებერვალს ასახელებენ“, ირინე გოგოსაშვილი, 31.01-6.02, გვ.12).

გამოცემა თითქმის ყველა პოლიტიკური ძალის მიმართ უარყოფითი განწყობით გამოირჩეოდა. სუბიექტების გაშუქების ტონი, მეტწილად, უარყოფითი იყო - უარყოფითად გაშუქდა როგორც მმართველი გუნდი, ასევე ოპოზიციური პარტიები. სტატიის ავტორები ღიად აფიქსირებდნენ თავიანთ კრიტიკულ დამოკიდებულებას ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის მიმართ. უარყოფითმა ტონმა განსაკუთრებით 24 თებერვლის, უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ მოიმიატა. მმართველი გუნდის მკვეთრი კრიტიკა მოჰყვა ხელისუფლების გადაწყვეტილებას არ მიერთებოდა რუსეთისთვის დაწესებულ ეკონომიკურ სანქციებს, ასევე ინფორმაციას რუსეთის მოქალაქეების საქართველოში შემოსვლის შესახებ და რუსულ მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას, რომ რუსულ ბაზარზე შესაძლოა ქართული რძის პროდუქტები შეიტანონ: „ოცნების სპეცოპერაცია გადავარჩინოთ პუტინი დაიწყოს!... დამთხვევაა ეტყობა, კობახიძის და პუტინის განცხადებები რომ ერთნაირია, აბა ისე როგორ იქნება?!?!... არ შეუერთდა სანქციებს საქართველო და დააწვა რუსი ჩვენკენ, ზოგს ბიზნესი გადმოაქვს, ზოგი სახლს ყიდულობს“ (გიორგი ჯავახიძე, 7-13.03, გვ.16); „ქვეყანა ქვეულია ნაცების და მათი სატელიტების სათარეშოდ. ოცნება კი ამის საწინააღმდეგოდ არაფერს აკეთებს. 24 საათი დაკავებულია ნაცების მიერ ქვეყნის ძირგამომთხრელ საქმიანობაზე ვითომ პასუხის გაცემით და სინამდვილეში ქმედით ნაბიჯებს არ დგამს“ (ნანა სულავა, 14-20.03, გვ.11); „სამაგიეროდ, ნაციონალური მოძრაობის წევრები ისეთ განცხადებას აკეთებენ, სამშობლოს დალატს რომ უტოლდება“ (ანი დვალიშვილი, 14-20.03, გვ.4).

გასული წლების მსგავსად, გამოცემაში წელსაც გვხვდებოდა ინფორმაციის საეჭვო წყაროებზე, „პოლიტიკური კულუარებიდან“ გამოსულ ინფორმაციებზე დაყრდნობით მომზადებული მასალები. მაგალითად, მეტი დამაჯერებლობისათვის ერთ-ერთი სტატია ასე იწყება: „რას უყვება „ალიას“ ორი სხვადასხვა წყარო, რომლებმაც იმაზე მეტი იციან ვიდრე ვინმეს წარმოუდგენია“ (გიორგი ჯავახიძე, 14-20.02, გვ.14); „დაზუსტებულ ამბავს გეუბნებით - ის, რასაც ამბობს კობახიძე, წინასწარ წაკითხული აქვს დარიბაშვილს და პირიქით... ერთი საეჭვო ფრაზაც კი ტექსტში, უმკაცრეს ცენზურას გადის“ (ანი დვალიშვილი, 14-20.03, გვ.5).

14-20 მარტის ნომერში უცნობ წყაროზე დაყრდნობით დაიბეჭდა მმართველი გუნდისა და მისი ყოფილი თავმჯდომარის, ბიძინა ივანიშვილის მიმართ მძიმე ბრალდებების შემცველი სტატია: „ბიძინა ივანიშვილი და ქართული ოცნების სხვა ლიდერები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ რუსეთი უკრაინას 3-5 დღეში მოუგებდა ომს და გადაწყვიტეს წინასწარ დამდგარიყვნენ გამარჯვებულის მხარეს... ქართულ ოცნებაში დიდი პანიკაა, ეშინიათ სანქციები მათაც არ შეეხოთ“ (14-20.03, გვ.3).

„ალიაში“ ინფორმაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს კვლავაც წარმოადგენდა სოციალური ქსელის სტატუსები. მათში გამოთქმული მოსაზრებები, ხშირ შემთხვევაში, კონკრეტული პოლიტიკოსის მისამართით კრიტიკულ, ხანდახან არაეთიკურ გამონათქვამებს შეიცავდა. უარყოფითი შინაარსის გამონათქვამებმა განსაკუთრებით უკრაინის ომის კონტექსტში მოიმატა. მაგალითად: „პუტინის დედას ისეთი ჯაფა დაადგა, რომ ღარიბაშვილმა გადაწყვიტა საკუთარი დედა დაეხმარებინა“ („გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერი ირაკლი ოქრუაშვილი, 28.02-6.03, გვ.9); „მოგი..ანთ პრემიერი! გამოიანგარიშეთ რა გიჯდებათ მონობა და ნაძირლობა“ (გამომცემლობა „კალმოსანის“ ღირექტორი ხვიჩა ყალაბეგაშვილი, 28.02-6.03, გვ.8).


გაზეთში, მიმდინარე ამბებთან ერთად, კვლავ იბეჭდებოდა გასულ წლებში (2003, 2006, 2007, 2012, 2016, 2018 და ა.შ), იმ პერიოდისთვის აქტუალურ თემებზე გამოქვეყნებული ვრცელი სტატიები და ინტერვიუები.

„ალია“ ასევე აგრძელებდა პოლიტიკური შინაარსის კროსვორდების გამოქვეყნებას, სადაც სხვადასხვა პარტია ან პოლიტიკოსი იყო გამარჯვებული, ხოლო შეკითხვები, ზოგ შემთხვევაში, შეურაცხმყოფელი იყო. თუმცა, „ალიაში“ წელსაც ნაკლებად გვხვდებოდა სიძულვილის ენის შემცველი ტერმინოლოგია; ფოტოებიც, ძირითადად, ნეიტრალური ხასიათის იყო და მასზე გამოსახული პოლიტიკოსების მკვეთარდ უარყოფითად წარმოჩენას ან დისკრიმინაციას არ ისახავდა მიზნად.

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

გაზეთი "ალია"


24 იანვარი - 24 თებერვალი, 2022



თემების გაშუქება (%)

გაზეთი "ალია"

24 იანვარი - 24 თებერვალი, 2022




* დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდნენ

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

გაზეთი "ალია"


25 თებერვალი - 23 მარტი, 2022



თემების გაშუქება (%)

გაზეთი "ალია"

25 თებერვალი - 23 მარტი, 2022



* დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდნენ

გენდერულად სენსიტიური გაშუქება

მონიტორინგის დროს დაკვირვება გენდერული ნიშნით სენსიტიურ გაშუქებაზეც ხდებოდა. ყურადღება ექცეოდა პოლიტიკური სუბიექტების ისეთ გაშუქებას და მათ მიმართ იმ ტერმინების გამოყენებას, რომლებიც პირდაპირი ან ფარული ფორმებით საზოგადოებაში დამკვიდრებულ გენდერულ სტერეოტიპებს ამყარებენ.


2022 წლის არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგის შედეგები გვიჩვენებს, რომ ბეჭდური მედია, წინა წლებისგან განსხვავებით, გენდერული სტერეოტიპების გავრცელებას ხელს არ უწყობდა.

იმის გამო, რომ ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ქალ პოლიტიკოსებს, კაცები სჭარბობენ, მათთვის დათმობილი ფართობი ბევრად მეტი იყო.

სუბიექტების გაშუქება სქესის მიხედვით (%)

გაზეთი "რეზონანსი"


24 იანვარი - 23 მარტი, 2022



სუბიექტების გაშუქება სქესის მიხედვით (%)

გაზეთი "ახალი თაობა"


24 იანვარი - 23 მარტი, 2022



სუბიექტების გაშუქება სქესის მიხედვით (%)

გაზეთი "ასავალ-დასავალი"


24 იანვარი - 23 მარტი, 2022



სუბიექტების გაშუქება სქესის მიხედვით (%)

გაზეთი "კვირის პალიტრა"


24 იანვარი - 23 მარტი, 2022




სუბიექტების გაშუქება სქესის მიხედვით (%)

გაზეთი "ქრონიკა+"

24 იანვარი - 23 მარტი, 2022



სუბიექტების გაშუქება სქესის მიხედვით (%)
გაზეთი "საქართველო და მსოფლიო"
24 იანვარი - 23 მარტი, 2022



სუბიექტების გაშუქება სქესის მიხედვით (%)
გაზეთი "ალია"
24 იანვარი - 23 მარტი, 2022

